



„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური (2023 წლის) ანგარიში

სარჩევი

მოკლე შეჯამება.....	2
შესავალი.....	5
ზოგადი პროგრესი.....	8
დეტალური პროგრესი.....	11
ამოცანა 1.1 - ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია.	11
ამოცანა 2.1 - მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით.	16
ამოცანა 2.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა.....	20
ამოცანა 2.3 - მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით.	23
ამოცანა 3.1 - რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით.....	26
ამოცანა 4.1 - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება.	34
ამოცანა 4.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა.	37
გამოწვევები და რეკომენდაციები.....	42

მოკლე შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი, წარმოადგენს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022 – 2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული გეგმის (შემდგომში სამოქმედო გეგმა) განხორციელების მონიტორინგის წლიურ ანგარიშს. სამოქმედო გეგმა სექტორული მიმართულების პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს, შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გაუმჯობესებას ემსახურება.

ანგარიში მოიცავს სამოქმედო გეგმის აქტივობების განხორციელების შესახებ ინფორმაციას 2022 წლის 26 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ანგარიშის პროექტი განხილულ და შეთანხმებულ იქნა დარგობრივ სახელმწიფო უწყებებთან.

2023 წლის ანგარიშის საფუძველზე, ნათლად ჩანს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უმრავლესობა განხორციელება ან მეტწილად განხორციელდა პასუხისმგებელი უწყებების მიერ.


საანგარიშო პერიოდში, ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდის და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის მიმართულებით არაერთი ღონისძიება იქნა დაგეგმილი და განხორციელებული.

მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ეროვნულ კანონმდებლობაში.

გაიზარდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარები და შესაძლებლობები.

ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით, პასუხისმგებელ უწყებებში, გაიზარდა რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი გადაამზადებული პირების რაოდენობა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელდა სამოქმედო გეგმის აქტივობების 54%, მიმდინარე/ნაწილობრივ განხორციელდა 35%, მეტწილად განხორციელდა 5% და არ დაწყებულა 6% აქტივობების განხორციელება.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ აქტივობებს შორის აღსანიშნავია, რომ 2023 წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების ინიციატივაზე. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულები არიან, როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ აღნიშნული გეგმის შემუშავების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესების კუთხით ფიქსირდება ხელშესახები პროგრესი. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, „სტამბოლის კონვენციის“ (ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“) 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად, შემუშავდა და დამტკიცდა კომპენსაციის გაცემის წესი. აღსანიშნავია, რომ საქართველომ „სტამბოლის კონვენციის“ რატიფიკაციისას გააკეთა ერთადერთი დათქმა აღნიშნულ წესთან დაკავშირებით. „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენციის 30-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის მიმართ საქართველოს მიერ გაკეთებულმა დათქმამ შეწყვიტა თავისი მოქმედება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბერის №523 დადგენილებით.

გარდა ამისა, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე განხორციელებული ძალადობისას სოციალური მუშაკის რეაგირების სამუშაო ინსტრუმენტი“. აღნიშნული ინსტრუმენტი ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ, გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე, რაც მოიცავს ძალადობის იდენტიფიცირებას და შემთხვევის მართვას.

ასევე, 2023 წელს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში მოქმედებს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევის სამოქმედო პროტოკოლი“, რომელიც განსაზღვრავს სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ბავშვების შემთხვევის მართვის თავისებურებებსა და საჭიროებებს, შემთხვევებზე მომუშავე მულტიდისციპლინური გუნდის დებულებას, მომსახურებების ტრაექტორიას.

შესავალი

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022 – 2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს, შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გაუმჯობესებას ემსახურება.

აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის სფეროების, მიზნების და ამოცანების ფორმულირებისას, მხედველობაში იქნა მიღებული „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს ძირითადი პრინციპები.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმას (შემდგომში სამოქმედო გეგმა), აერთიანებს მოქმედების 4 სფეროს: პირველი სფერო მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის საკითხებს; მე-2 სფერო ეხება ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელ ღონისძიებებს; მე-3 სფეროში გათვალისწინებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ზომები; ხოლო მე-4 სფერო ინტეგრირებული პოლიტიკის და მონაცემების შეგროვების საკითხებს ფარავს.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები არიან: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა

ასოციაცია, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - პეციალური პენიტენციური სამსახური, აა(ი)პ „პროფესიული უნარების სააგენტო“.

აღნიშნული სახელმწიფო უწყებები პასუხისმგებელი არიან შემდეგი ამოცანების განხორციელებაზე:

- ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია;
- მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა;
- მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით;
- რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა.

სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების სტანდარტებთან. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სექტორულ პრიორიტეტებს, კონკრეტულ საქმიანობებს, რაც აუცილებელია მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მათი შედეგების ინდიკატორებს, პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებათა წრეს, განხორციელების ვადებს, ბიუჯეტსა და დაფინანსების წყაროს.

საგულისხმოა, რომ აღნიშნული გეგმის შემუშავება, განხორციელების კოორდინაცია, სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული ანგარიშგება წარმოადგენს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში

ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის¹ (შემდგომში - კომისია) ამოცანებს. კომისია, თავისი მანდატიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის მიმართულებით, საკოორდინაციო მექანიზმს წარმოადგენს და უზრუნველყოფს მულტიდისციპლინურ მუშობას. კომისია თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან და ხელს უწყობს საქართველოს მიერ რატიფიცირებული კონვენციებით დაფარული რიგი საკითხების განხორციელებას. კომისიის მუშაობის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი.

ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის განხორციელების ხელშეწყობას, იმპლემენტაციის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართვას, საჭიროების შემთხვევაში, გეგმაში ცვლილებების შესახებ წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებას და კომისიისთვის წარდგენას, საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილების ასახვის მიზნით.

წინამდებარე წლიური ანგარიში შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის კოორდინირებით, სახელმწიფო უწყებებისთვის გაგზავნილი ანგარიშის წარმოდგენისათვის საჭირო ფორმაში უწყებების მიერ ასახული 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების და დარგობრივი სახელმწიფო უწყებებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე.

სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის წლიური ანგარიში შესაბამისობაშია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით განსაზღვრულ წლიური ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგიასთან და ასახავს სამოქმედო გეგმის

¹ „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 12 ივნისის მთავრობის დადგენილება №286

ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების შესახებ დეტალურ ინფორმაციას 2022 წლის 26 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

ზოგადი პროგრესი

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს, შესაბამისი სერვისის უზრუნველყოფისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გაუმჯობესებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმის სფეროების, მიზნების და ამოცანების ფორმულირებისას, მხედველობაში იქნა მიღებული „სტამბოლის კონვენციის“ (ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“) ძირითადი პრინციპები.

მოქმედების სფერო I: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია:

მიზანი 1 გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში არსებული ტოლერანტობის აღმოფხვრას და ძალადობის პრევენციის მექანიზმების გაუმჯობესებას. აღნიშნულის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ამოცანა 1.1-ს - „ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია“. მითითებულ ამოცანას განსაზღვრული აქვს შედეგის ოთხი ინდიკატორი.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1- პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს

კანონის თაობაზე. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისთვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 80%, კაცი - მინიმუმ 80%.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2 - პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების არსებობის შესახებ. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 75%, კაცი - მინიმუმ 75%.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3 - პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისთვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 50%, კაცი - მინიმუმ 50%.

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.4 - პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზის (116 006) შესახებ. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისთვის არის განსაზღვრული და შეადგენს ქალი - მინიმუმ 85%, კაცი - მინიმუმ 85%.

2023 წელს აღნიშნული ამოცანის განხორციელების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით ამოცანის განხორციელების, ამოცანის შედეგის ინდიკატორით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევის ვადად განსაზღვრულია 2024 წელი.

მოქმედების სფერო II - ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა

მიზანი 2 გულისხმობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის (დაზარალებულებისთვის) ხარისხიან მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმა აერთიანებს 2.1, 2.2 და 2.3 ამოცანებს, რომლის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება.

ამოცანა 2.1-ის შედეგის ინდიკატორია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში „გრევიო“) მიერ საქართველოსათვის მიცემული რეკომენდაციების (პირველი ანგარიშის შესაბამისად) განხორციელების პროცენტული წილი. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და შეადგენს სულ მცირე 60%-ს. აღნიშნული მიმართულებით პროგრესი უკვე დაფიქსირდა. საანგარიშო პერიოდში ამოცანა ნაწილობრივ განხორციელდა.

ამოცანა 2.2-ის შედეგის ინდიკატორია ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი თავშესაფრების რაოდენობა, რომელმაც 2024 წლისათვის უნდა შეადგინოს 6. აღნიშნული ამოცანა განხორციელდა სრულად.

ამოცანა 2.3-ის შედეგის ინდიკატორია აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებების პროცენტული წილი, რომელიც სთავაზობს დასაქმებულებს სწავლებას (საგანმანათლებლო ტრენინგებს) პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით, რაც გულისხმობს მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებას ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და გულისხმობს მაჩვენებლის შენარჩუნებას - სახელმწიფო უწყებების 100%.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამავე ამოცანის ინდიკატორი, საანგარიშო წელიწადში განხორციელდა სრულად. რაც გულისხმობს, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მიერ, პროფესიონალთათვის სწავლების და შესაძლებლობების გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზებას.

მოქმედების სფერო III: ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა

მიზანი 3 გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ამოცანა 3.1 -ს.

ამოცანა 3.1-ის შედეგის ინდიკატორია შესაბამის რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელ უწყებებში მომზადებულ/გადამზადებულ პროფესიონალთა წილი. სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე მაჩვენებელი 2024 წლისათვის არის განსაზღვრული და შეადგენს 60%-ს.

საანგარიშო პერიოდში მოცემული ამოცანის ინდიკატორის შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება, რაც გამოხატულია მომზადებული/გადამზადებული პროფესიონალების პროცენტულ მაჩვენებელში. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით, გადამზადებულთა რაოდენობა, საანგარიშო პერიოდში, გაზრდილია მინიმუმ 5%-ით.

მოქმედების სფერო IV: ინტეგრირებული პოლიტიკა და მონაცემების შეგროვება

მიზანი 4 გულისხმობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის/პრევენციის და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდას ინტეგრირებული და კოორდინირებული მიდგომების

გაძლიერებით, რომელიც თავის თავში აერთიანებს ამოცანა 4.1 და ამოცანა 4.2-ს, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი პროგრესი ფიქსირდება. კერძოდ, გაღრმავდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა და გაუმჯობესდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება

ამოცანა 4.1-ის შედეგის ინდიკატორია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის არსებობა.

აღნიშნული ამოცანის საბაზისო მონაცემით, თანამშრომლობის მექანიზმი არ არსებობდა. ყურადსაღებია, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციას (ათეა) შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, აღნიშნული ამოცანის ინდიკატორი შესრულდა. დაგეგმილია ამ ფორმატის შენარჩუნება და გაგრძელება წინამდებარე გეგმის მოქმედების ვადის განმავლობაში.

ამოცანა 4.2-ის შედეგის ინდიკატორია სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის შემუშავება.

ამოცანის ინდიკატორით განსაზღვრული სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის დოკუმენტი არ შემუშავებულა, თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამოცანის შესრულების პროგრესს ასახავს პასუხისმგებელი უწყებების მიერ, მანდატის ფარგლებში, სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება და ხელმისაწვდომობა.

აღნიშნული ამოცანის შესრულების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა.

დეტალური პროგრესი

ამოცანა 1.1 - ძალადობის პრევენციის ხელშეწყობის მიზნით, ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირების გაზრდა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, აა(ი)პ „პროფესიული უნარების სააგენტო“, სსიპ - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის

ეროვნული სააგენტო და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპეციალური პენიტენციური სამსახური.

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ამოცანის შესრულების ვადა 2024 წელს იწურება, ამოცანის შესრულების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა 2023 წლის განმავლობაში. ცნობიერების ამაღლების მიზნით, პასუხისმგებელი უწყებების მიერ აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა, რამაც განაპირობა რომ აღნიშნული ამოცანა ნაწილობრივ იქნა განხორციელებული .

ამოცანა 1.1.	ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებსა და მსხვერპლის მხარდაჭერის მომსახურებებზე საზოგადოების ინფორმირებულობა და ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექცია				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1	პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თაობაზე	წელი	საბაზისო 2021	სამიზნე 2023	დადასტურების წყარო
		მაჩვენებელი	არ არსებობს	კი, არსებობს	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ოქმები

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2	პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების არსებობის შესახებ		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2017	2024	
		მაჩვენებელი	ქალი (%) - 67.4; კაცი (%) - 73.5 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017)	ქალი - 77.4%, კაცი - 83.5 % (ზრდა 10%)	ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდი.
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3	პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით), ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2017	2024	
		მაჩვენებელი	ქალი (%) - 61.7; კაცი (%) - 48.8 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017)	ქალი -71.7%, კაცი - 58.8% (ზრდა 10%)	ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდი.
ამოცანის შედეგის	პროცენტული წილი ადამიანებისა (სქესის ნიშნით),		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2017	2024	

ინდიკატორი 1.1.4	<i>ვისთვისაც ცნობილია ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზის (116 006) შესახებ</i>	მაჩვენებელი	ქალი (%) - 38.0; კაცი (%) - 31.6 (წყარო: ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017)	ქალი - 48%; კაცი - 41.6% (ზრდა 10%)	ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდი.
რისკი: საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა					

აქტივობა 1.1.1 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება

2023 წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმართულებით. გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულები არიან, როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულები აღნიშნული გეგმის შემუშავების მიმართულებით. საანგარიშო წლის განმავლობაში შემუშავდა გეგმის პირველადი ვერსია. შესაბამისად, აღნიშნული აქტივობა 2023 წელს, ნაწილობრივ განხორციელდა. გეგმის შემუშავება გრძელდება 2024 წელს.

აქტივობა 1.1.2. ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით პროფესიული სტუდენტების ცნობიერების ამაღლება;

საანგარიშო პერიოდში, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით, პროფესიული სტუდენტების ცნობიერების ამაღლების მიზნით, ავტორიზებული საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების 88% (23 საჯარო კოლეჯი) ახორციელებდა სხვადასხვა სახის აქტივობას (საინფორმაციო შეხვედრა, დისკუსია, სემინარი, ტრენინგი და სხვა) .

აქტივობა 1.1.3. მოძალადე მსჯავრდებულებისთვის მოქმედი ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამების გადახედვა, შემდგომი დახვეწა და დანერგვა

პრობაციისა და პენიტენციურ სისტემებში ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, 2022 წლიდან მიმდინარეობს შესაბამისი აქტივობები, კერძოდ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- იდენტიფიცირდა ქცევის კორექციის პროგრამაზე მორგებული კითხვარები; ფასილიტატორებისთვის შეიქმნა პროგრამის ლოგიკური ჩარჩო;
- გამოწვევების გადასაჭრელად ჩატარდა სამუშაო შეხვედრები სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლებთან;
- ქცევის კორექციის პროგრამის ახალი ფასილიტატორებისთვის ჩატარდა 5-დღიანი ინტენსიური სასწავლო პროგრამა;
- პროგრამის გადახედვის და დახვეწის მიზნით შედგა სამუშაო შეხვედრები ორგანიზაცია European Network for the Work with Perpetrators of Domestic Violence (WWP EN)-ის წარმომადგენლებთან, რომლებმაც მოამზადეს რეგიონული სახელმძღვანელო უკრაინაში, მოლდოვის რესპუბლიკაში, ბელარუსის რესპუბლიკაში, სომხეთის რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოში, მოძალადეებთან მუშაობისა და ადრეული პრევენციის შესახებ. აღნიშნული სახელმძღვანელო მოიცავს რეკომენდაციებს საქართველოსთვის, მოძალადეებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად.

2023 წლის 31 ივნისიდან 2023 წლის 31 დეკემბრის საანგარიშო პერიოდში, ქცევის კორექციის პროგრამა პრობაციის სისტემის ფარგლებში დაასრულა 80-მა პირობით მსჯავრდებულმა, პროგრამა დაიწყო და შეწყვიტა 16-მა პირობით მსჯავრდებულმა და ამჟამად პროგრამაში ჩართულია 135 პირობით მსჯავრდებული. რაც შეეხება პენიტენციურ სისტემას, საანგარიშო პერიოდში ქცევის კორექციის პროგრამა დაასრულა 34 -მა მსჯავრდებულმა. ამასთან, ქცევის კორექციის პროგრამის ხელმისაწვდომობის დადგენის და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, პენიტენციურ სისტემაში მუშავდება „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის (PRIA)“ ხელმისაწვდომობის ინდიკატორის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა, რომლის მიზანია ქცევის კორექციის პროგრამის ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ხელმისაწვდომობის შეფასების ინდიკატორის დანერგვა და პროცესის მართვა, აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ აქტივობა მეტწილად იქნა განხორციელებული.

აქტივობა 1.1.4. ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირება და საგანგებო სიტუაციებისას, მათ შორის, პანდემიის პირობებში, მოძალადე პირებისთვის მიწოდება

ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირების და საგანგებო სიტუაციებისას მათ შორის, პანდემიის პირობებში, მოძალადე პირებისთვის მიწოდების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აქტიურ მოლაპარაკებებს ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან. აღნიშნული სამუშაოები გრძელდება 2024 წლის განმავლობაშიც.

შემდგომი ნაბიჯები:

2024 წელს დასრულდება 1.1.1-1.1.4 აქტივობებით დაგეგმილი ღონისძიებების გატარება, კერძოდ მოხდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება; განხორციელდება ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით პროფესიული სტუდენტების ცნობიერების ამაღლება; ამასთანავე, მოხდება ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირება იმგვარად, რომ მათ შორის, საგანგებო სიტუაციებისას, (პანდემიის ჩათვლით), შესაძლებელი იყოს მოძალადე პირებისთვის პროგრამის შეუფერხებლად მიწოდება.

ამოცანა 2.1 - მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა სამდივნო.

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

2.1 ამოცანის ინდიკატორის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და სტრუქტურული ცვლილებები, რაც გამომდინარეობდა, მათ შორის GREVIO რეკომენდაციებიდან. შესაბამისად, ამოცანის შესრულების მნიშვნელოვანი პროცენტი შესრულდა საანგარიშო პერიოდში.

ამოცანა 2.1.	მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის დახვეწა/გაუმჯობესება საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით
--------------	---

ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	GREVIO-ს მიერ საქართველოსთვის მიცემული რეკომენდაციების (პირველი ანგარიშის შესაბამისად) განხორციელების პროცენტული წილი		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2021	2024	
		მაჩვენებელი	0%	მინიმუმ 60%	წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე

აქტივობა 2.1.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, სტამბოლის კონვენციის 30-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესასრულებლად, კომპენსაციის გაცემის წესის შემუშავება.

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციასთან ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2022 წლის 9 ნოემბერის №523 დადგენილება. ძალადობის მსხვერპლი უფლებამოსილია მიიღოს კომპენსაცია სახელმწიფოსგან, თუ მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის შედეგად მისთვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანი მოძალადის მიერ არ ანაზღაურდა. კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებით. მის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანოა სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო. 2023 წელს ფემიციდის შემთხვევაზე 2 არასრულწლოვან შვილზე გაიცა კომპენსაცია - 10 000 ლარის ოდენობით.

აქტივობა 2.1.2. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების (ეროვნული რეფერალური მექანიზმი) პროექტის დამტკიცება.

2023 წელს, მულტისექტორული მიდგომით, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების პროექტი შემუშავდა.

აქტივობა 2.1.3 „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლისა (თავშესაფრისა) და მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების მოწყობისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის №183/ნ ბრძანებაში ცვლილებების მომზადება და დამტკიცება.

„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ვალდებულების აღსრულების მიზნით შესაბამისი აქტივობები დაიგეგმა 2022 წელს და 2023 წლის 11 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №50/ნ ბრძანებით დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები“, რომლითაც განისაზღვრა თავშესაფრის ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ხარისხიანი მომსახურებების მიწოდების გზით მომსახურების მიმღებ პირთა გაძლიერების მხარდაჭერა და ძალადობის შედეგების დაძლევაში დახმარება, ბენეფიციართათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა და სხვა. აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა მინისტრის 2008 წლის 28 ივლისის №183 ბრძანება. ასევე ცვლილებები შევიდა „კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 10 ნოემბრის №01-64/ნ ბრძანებაში“. შესაბამისად, აქტივობა განხორციელდა სრულად.

აქტივობა 2.1.4 შესაბამისი დოკუმენტის (წესი/ბრძანება/მითითება) შემუშავება და მიღება, რაც უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევის მართვისას, მსხვერპლის უფლებების ეფექტიანი დაცვის მიზნით, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის ჩართულობის უზრუნველყოფას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 2019 წელს ამოქმედდა. 2021 წელს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის თანახმადაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელს მიენიჭა უფლებამოსილება, საქმის სასამართლოში წარმართვამდე, კოორდინატორი სისხლის სამართლის საქმეში ჩართოს საკუთარი გადაწყვეტილებით. „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორისა და

გამომძიებლის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ რეკომენდაცია შემუშავებულია , რომლის დამტკიცებაც უახლოეს მომავალში იგეგმება.

აქტივობა 2.1.5_სოციალური მუშაკებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მუშაობისთვის სპეციალური სახელმძღვანელო წესების შემუშავება და დანერგვა

2022 წელს, სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის № 1000318 0 23 00000086 ბრძანებით 2023 წლის 12 ივნისს დამტკიცდა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევის სამოქმედო პროტოკოლის და საინფორმაციო დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს :

1. ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევის სამოქმედო პროტოკოლს სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს თანამშრომლებისათვის,
2. საინფორმაციო მასალას სოციალური მუშაკებისთვის: ბავშვის სექსუალური განვითარების თავისებურებები;
3. საინფორმაციო მასალას სოციალური მუშაკებისათვის: სექსუალური ძალადობის მსხვერპლ/რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთან კომუნიკაცია;
4. ბავშვზე სექსუალური ძალადობის ამოცნობა, ნიშნები და საფრთხის სიგნალები

გარდა ამისა, 2023 წელს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში დამტკიცდა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე განხორციელებული ძალადობისას სოციალური მუშაკის რეაგირების სამუშაო ინსტრუმენტი“. აღნიშნული ინსტრუმენტი ორიენტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე, რაც მოიცავს ძალადობის იდენტიფიცირებას და შემთხვევის მართვას. სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში მოქმედებს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევის სამოქმედო პროტოკოლი“, რომელიც განსაზღვრავს სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ბავშვების შემთხვევის მართვის თავისებურებებსა და საჭიროებებს.

შემდგომი ნაბიჯები:

გაგრძელდება მუშაობა 2.1.5 აქტივობაზე.

ამოცანა 2.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო და სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო.

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

2.2. ამოცანის ინდიკატორი (6 თავშესაფარი) სრულად შესრულებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ამოცანა 2.2.	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურებების გაზრდის ხელშეწყობა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1.	ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი თავშესაფრების რაოდენობა		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2021	2024	
		მაჩვენებელი	5 სახელმწიფო თავშესაფარი	6 თავშესაფარი	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ანგარიშები
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე

აქტივობა 2.2.1. სახელმწიფო თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების მიერ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მომსახურებების მიწოდება.

2022 წელს, ქვეყანაში ფუნქციონირებდა ხუთი თავშესაფარი: თბილისი, ბათუმი, გორი, ქუთაისი, სიღნაღი და შვიდი კრიზისული ცენტრი: თბილისი, ქუთაისი, გორი, მარნეული, ოზურგეთი, თელავი, ხოლო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კრიზისული ცენტრი არის დაკომპლექტების პროცესში.

საქართველოს კანონში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების - თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების წესდებებში, საქმიანობაში გამოსაყენებელ ფორმებში და ა.შ. ცვლილებები ძირითადად შეეხო მომსახურებების მიღების მიზნებისთვის მსხვერპლის სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებულ საკითხებს; კერძოდ, თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიღების მსურველ ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლის მიმართ ძალადობის რისკების შეფასების, მათი საჭიროებებისა და მისაწოდებელი მომსახურებების დადგენის მიზნით, დამტკიცდა „ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ხასიათის ძალადობის მსხვერპლთა მიმართ ძალადობის რისკების შეფასების, მათი საჭიროებებისა და მისაწოდებელი მომსახურებების დასადგენი სტანდარტიზებული კითხვარი“ და განისაზღვრა თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიღების შესაძლებლობა აღნიშნული კითხვარის საფუძველზე, რომელიც იცვება თავშესაფარში/კრიზისულ ცენტრში.

2023 წელს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ფარგლებში მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებობს 6 თავშესაფარი და 7 კრიზისული ცენტრი (მე-7 კრიზისული ცენტრი ამოქმედდება უახლოეს პერიოდში).

აქტივობა 2.2.2 ახალი თავშესაფრის გახსნა

2022 წელს დაიწყო და 2023 წელს, ქ. თბილისში გაიხსნა ძალადობის მსხვერპლთა ახალი თავშესაფარი და ამჟამად ფუნქციონირებს 2 თავშესაფარი; ასევე, ქ. თელავში 2023 წელს გაიხსნა ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული ცენტრი და ქ. ზუგდიდის კრიზისული ცენტრი ამოქმედდება უახლოეს პერიოდში.

აქტივობა 2.2.3. თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ფსიქოლოგიური დახმარება-რეაბილიტაციის მიზნებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელოს გადახედვა და განახლება.

2022 წელს, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრებისთვის არსებული სახელმძღვანელო გადაიხედა და განახლდა. აღნიშნულთან დაკავშირებით მეთოდოლოგიური მითითებები მიეცათ ფსიქოლოგებს და ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი.

2023 წელს, თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ფსიქოლოგიური დახმარება-რეაბილიტაციის მიზნებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო გადაიხედა, შეფასდა არსებული პრაქტიკა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები. ასევე, აღსანიშნავია, რომ თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ფსიქოლოგებმა გაიარეს ტრენინგი განახლებულ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით.

აქტივობა 2.2.4. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაქმების ხელშეწყობისთვის მათ უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული ღონისძიებების/პროგრამების შემუშავება

სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსა და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სააგენტოს შორის 2021 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სააგენტომ 2023 წელს 2 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფარში.

გარდა ამისა, 2023 წელს სააგენტომ გააგრძელა ფრიდრიხ ებერტის ფონდთან (FES), დემოკრატიის განვითარების სააგენტოსთან (DDA) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ESCAPE - დასაქმება, მხარდაჭერა, კონსულტირება შრომის ბაზრის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“, რომლის მიზანია თბილისსა და ქუთაისში „რთულად დასასაქმებელი“ სამუშაოს მაძიებლებისთვის სპეციალური, მათ საჭიროებებზე მორგებული, ინტენსიური მხარდაჭერითი მომსახურების შეთავაზება და დასაქმებაში ხელშეწყობა. „რთულად დასასაქმებელ“ კატეგორიას მიკუთვნებული სამუშაოს მაძიებელთა რეფერირება ხდება პარტნიორი ორგანიზაციების სერვის ცენტრებში, სადაც მათ 4-დან 6 თვემდე პერიოდში ინტენსიურად მიეწოდებათ მხარდაჭერის მომსახურება. აღნიშნული პროექტის სამიზნე ჯგუფია მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული პირები, მათ შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები, რეფერირებული იქნა 3 ბენეფიციარი. „პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამაში თანაბარი პირობების არსებობისას, ღონისძიებით სარგებლობის უპირატესი უფლება ენიჭებათ ოჯახში ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლ პირებს.

აქტივობა 2.2.5. სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული მომსახურების მიწოდებისთვის ინსტრუმენტის შემუშავება.

2023 წელს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში მოქმედებს სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევის სამოქმედო პროტოკოლი“, რომელიც განსაზღვრავს სექსუალური ძალადობის გამოცდილების მქონე ბავშვების შემთხვევის მართვის თავისებურებებსა და საჭიროებებს, შემთხვევებზე მომუშავე მულტიდისციპლინური გუნდის დებულებას, მომსახურებების ტრეფიკინგის მითითებული პროტოკოლით იმართება მხოლოდ ის შემთხვევები, რომლებიც ბავშვთა ინტეგრირებული ცენტრში

არ ხვდება (ბავშვთა ინტეგრირებული ცენტრის ბენეფიციართა შემთხვევების მართვა ხორციელდება სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ინტეგრირებული მომსახურების ცენტრის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შესაბამისად)

აქტივობა 2.2.6. საგანგებო სიტუაციებში, მათ შორის, პანდემიის პერიოდში, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების გამართული, უსაფრთხო და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში, ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორმა 2020 წლის 13 მარტს გამოსცა № 07-36/ო ბრძანება „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების აღკვეთის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლის საფუძველზეც სპეციალიზებული დაწესებულებებს მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოთ ჯანმრთელობის დაცვის პროტოკოლების, რეკომენდაციებისა და ჰიგიენის წესების დაცვა.

შემდგომი ნაბიჯები:

იმისათვის, რომ სრულად შესრულდეს ამოცანა 2.2, 2024 წელს დასრულდება აქტივობა 2.2.4, აქტივობა 2.2.5 და აქტივობა 2.2.6- ის განხორციელება.

ამოცანა 2.3 - მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური და სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

საანგარიშო პერიოდში, 2.3. ამოცანა უმეტესწილად შესრულებულია სრულად. აქტივობებზე პასუხისმგებელი ყველა უწყება უზრუნველყოფს დასაქმებულების სწავლებას (საგანმანათლებლო ტრენინგებს) პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით.

ამოცანა 2.3.	მომსახურების მიმწოდებელთა პროფესიული უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება ტრენინგებისა და მომზადება/გადამზადების გზით				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1	აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებების პროცენტული წილი, რომელიც სთავაზობს დასაქმებულებს სწავლებას (საგანმანათლებლო ტრენინგებს) პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით	წელი	საბაზისო 2021	სამიზნე 2024	დადასტურების წყარო
		მაჩვენებელი	სახელმწიფო უწყებების 100%	მაჩვენებლის შენარჩუნება - სახელმწიფო უწყებების 100%	წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიში
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე

აქტივობა 2.3.1. ცხელი ხაზის (116006) ოპერატორებისთვის ტრენინგების ჩატარება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, კოორდინირებული უწყებათაშორისი თანამშრომლობისა და სხვადასხვა სფეროს პროფესიონალებთან ეფექტიანი მუშაობისთვის საჭირო უნარების განვითარებისთვის.

თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში 2023 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით, დაწესებულების ცენტრების მენეჯერებს, იურისტებს და ცხელი ხაზის (116 006 და 111) ოპერატორებს, სოციალურ მუშაკებსა და სპეციალისტებს (ჯამში 18 სამტატო ერთეული) ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით და ამასთანავე, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ჩაუტარდათ ტრენინგი მოწვეული ექსპერტის მიერ; 2023 წლის ნოემბრის თვეში, გაეროს ბავშვთა ფონდის - UNICEF-ის მიერ ჩატარდა ტრენინგი ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის ოპერატორების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით და მონაწილეობას იღებდნენ ცხელი ხაზის ოპერატორები; 2023 წლის დეკემბერში MAC GEORGIA გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ბავშვთა ცხელის ხაზის მისაწვდომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის“ და ესწრებოდა ცხელი ხაზის 11 ოპერატორი.

აქტივობა 2.3.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის მიზნებისთვის თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების თანამშრომელთა პროფესიული უნარების განვითარებისთვის ტრენინგების ჩატარება.

2023 წლის ივნისში, ზრუნვის სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი საგრანტო პროექტის „გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სისტემის გაუმჯობესება“ („Improving the System against Gender-Based Violence“) ფარგლებში გაიმართა ტრენინგი „კოგნიტურ ბიჰევიორული თერაპიის პრაქტიკული უნარ-ჩვევები“. მონაწილეობდა - სააგენტოს 29 თანამშრომელი.

თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში 2023 წლის იანვრიდან ივნისის თვის ჩათვლით, დაწესებულების ცენტრების მენეჯერებს, იურისტებს და ცხელი ხაზის (116 006 და 111) ოპერატორებს, სოციალურ მუშაკებსა და სპეციალისტებს ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით და ამასთანავე, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ჩაუტარდათ ტრენინგი მოწვეული ექსპერტის მიერ; სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის „გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სისტემის გაუმჯობესება“ საგრანტო პროექტის ფარგლებში, 2023 წლის 24-25 ივლისს ჩატარდა ტრენინგი „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე/საკანონმდებლო ცვლილებებზე“. 2023 წლის ნოემბრის თვეში, გაეროს ბავშვთა ფონდის - UNICEF-ის მიერ ჩატარდა ტრენინგი ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზის ოპერატორების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით და მონაწილეობას იღებდნენ ცხელი ხაზის ოპერატორები, მენეჯერები, იურისტები და სპეციალისტი; 2023 წლის დეკემბერში, ქალაქ თბილისში ჩატარდა ტრენინგი ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები", რომელსაც ესწრებოდა სააგენტოს ცენტრალური აპარატის, გორის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების თანამშრომლები და ასევე ცხელი ხაზის (116 006 და 111) 11 ოპერატორი. 2023 წლის დეკემბერში MAC GEORGIA გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ბავშვთა ცხელის ხაზის მისაწვდომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის“, რომელსაც ესწრებოდა ცხელი ხაზის 11 ოპერატორი, 2 მენეჯერი, 2 იურისტი, 1 სპეციალისტი და ზრუნვის სააგენტოს ცენტრალური აპარატის 2 თანამშრომელი.

აქტივობა 2.3.3 ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში (უწყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე აკრედიტებული ელექტრონული სასწავლო მოდულის დანერგვა

გაეროს მოსახლეობის ფონდის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე მომზადდა ელექტრონული სასწავლო პლატფორმა, სადაც ერთ-ერთია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე აკრედიტებული ელექტრონული სასწავლო მოდული. აღნიშნული ონლაინ კურსის გავლა ნებაყოფლობითია სამედიცინო პერსონალისთვის. 2022 წელს გადამზადება გაიარა 54 ექიმმა.

UNFPA-ს მიერ მომზადდა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული მოდული, რომელიც მოიცავს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებს. კურსის გავლა უფასოა. 2023 წლის მე-4 კვარტალში სწავლება გაიარა 12-მა ექიმმა.

აქტივობა 2.3.4. ადვოკატებისა და იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სასწავლო ღონისძიებების ჩატარება.

2022 წელს, იურიდიული დახმარების სამსახურის რამდენიმე საზოგადოებრივმა ადვოკატმა გაიარა ტრენინგის ტრენინგი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. წლის ბოლომდე დაგეგმილია ინტენსიური ტრენინგ კურსის ჩატარება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

2023 წლის 6-7 დეკემბერსა და 8-9 დეკემბერს, (2 ტრენინგი) ჩატარდა ტრენინგი „ძალადობა და დისკრიმინაცია გენდერისა და სექსუალობის ნიშნით. იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლებისთვის. 2023 წლის 2-3 დეკემბერსა და 13-14 დეკემბერს, (2 ტრენინგი) „სექსუალობის საკითხების სამართლებრივი რეგულირება და ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები“.

ამოცანა 3.1 - რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, აა(ი)პ „პროფესიული უნარების სააგენტო“ და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით. ჩატარდა ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა და პროკურორთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით.

დაიწყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგად ხარვეზების გამოვლენის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეკომენდაციების/ინტრუქციების შემუშავება და განახლება. ასევე, მიმდინარეობს შემაკავებელი ორდერის ოქმის გადახედვა და ცვლილების შეტანა. განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სსიპ - 112-ში შემოსული შეტყობინებების ანალიზი.

<p>მიზანი 3.</p> <p>ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების უზრუნველყოფა</p>		<p>მიზანი 5: გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება;</p> <p>მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა</p> <p>მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი: განვითარებისათვის, მართლმსაჯულები ს, ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებულის და ინკლუზიური</p>
--	--	--

					ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.
გავლენის ინდიკატორი 3.1.	ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ შეტყობინებებზე/განცხადებებზე რეაგირების მაჩვენებელი		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2021	2024	
		მაჩვენებელი	100%	100%	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშები და სტატისტიკა (ვებ. გვერდი www.polic.ge)
ამოცანა 3.1.	რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაზრდა ტრენინგებისა და სამუშაო ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1.	შესაბამის რეაგირებასა და აღკვეთაზე პასუხისმგებელ უწყებებში მომზადებულ/გადამზადებულ პროფესიონალთა წილი		საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2021	2024	
		მაჩვენებელი	50%	მინიმუმ 60%	წინამდებარე გეგმის ანგარიშები
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე:

ამოცანა 3.1-ის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების უმრავლესობა არის შესრულებული.

აქტივობა 3.1.1. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამართალდამცავთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით ტრენინგების ჩატარება.

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს „ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობა“ საგნის სწავლება, 2022 წლის 25 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით მომზადდა: პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - 34 ჯგუფი; 734 მსმენელი.

2023 წლის სექტემბრიდან სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში ხორციელდება გამომძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ქალთა მიმართ ძალადობა ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. 2023 წელს აღნიშნული კურსის ფარგლებში გადამზადდა: 4 ჯგუფი; 76 მსმენელი.

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი - „ოჯახში და გენდერული ნიშნით ძალადობა“. ტრენინგს დაესწრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 93 თანამშრომელი

2023 წლის სექტემბერს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი - „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი მექანიზმები“. ტრენინგს დაესწრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 94 თანამშრომელი. 2023 წლის დეკემბერში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ტრენინგს/სამუშაო შეხვედრას დაესწრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 20 მენეჯერი.

აქტივობა 3.1.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების, სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგად ხარვეზების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეკომენდაციების/ინსტრუქციების შემუშავება ან განახლება.

2022 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის დეკემბრის ჩათვლით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა მონიტორინგი გაუწია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის,

და ოჯახური დანაშაულის მუხლებით დაწყებულ 5800-მდე სისხლის სამართლის საქმეს. მონიტორინგის პროცესისა და სამართალწარმოებაზე დაკვირვების შედეგად, მოცემულ ეტაპზე, მიმდინარეობს „ბავშვობის ასაკში ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულთა ეფექტიან გამოძიებაზე“, „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ“ და „სექსუალური შევიწროების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ“ რეკომენდაციების განახლება.

ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი. 2023 წელს აღნიშნულ დეპარტამენტებში შესწავლილია ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და „ფემიციდის“ შემთხვევების, ასევე ოჯახში ძალადობის 2000-მდე სისხლის სამართლის საქმე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, იდენტიფიცირდა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და საჭიროებები, რაც აისახა შესაბამისი ანალიზის დოკუმენტში. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ და 126¹ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ სახელმძღვანელო მითითების განახლებული ვერსია.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტში ქალთა გენდერულად მოტივირებული მკვლელობების (ფემიციდის) სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, გამოვლინდა გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ტენდენციები და გაანალიზდა სასამართლოს გადაწყვეტილებები. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის, მომზადდა სახელმძღვანელო მითითება „ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“.

ამავე აქტივობის შესრულების მიზნით, 2024 წელს (იანვარი-ივნისის პერიოდი) მონაცემებით, საქართველოს პროკურატურაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჩატარდა 4 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 56 თანამშრომელი (ამათგან, 55 პროკურორი, 1 მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი). აღნიშნული სასწავლო აქტივობები მოიცავდა პროკურორებისა და მენეჯერებისთვის განხორციელებულ ტრენინგს გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ და ოჯახში ძალადობის თემაზე მულტიდისციპლინარული ჯგუფის სასწავლო ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ევროპის საბჭოს HELP-ის სასწავლო კურსს. გარდა ზემოაღნიშნულისა, ანალოგიურ საკითხებზე

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეა მენტორინგის 1 წლიანი პროგრამა „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე“, რომელშიც მონაწილეობს 10 პროკურორი. მენტორინგის პროგრამის ფარგლებში პროკურორები, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, გადიან ევროპის საბჭოს HELP-ის სასწავლო კურსს - „ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე“.

აქტივობა 3.1.3. შემაკავებელი ორდერის ოქმის გადახედვა და ცვლილების შეტანა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, რომელიც 2023 წლის პირველ მაისს შევიდა ძალაში, შემაკავებელი ორდერი და რისკების შეფასების ინსტრუმენტი განახლებული ფორმით ამოქმედდა. ცვლილებების პროცესს წინ უძღვოდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაცია - „Global Rights for Women“ ექსპერტების მიერ ძალადობის განმეორების რისკების შეფასების მექანიზმის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შეფასება, ასევე, სამუშაო შეხვედრები როგორც საპოლიციო დანაყოფების, ისე, არასამთავრობო სექტორისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან. საქართველოს ყველა რეგიონის საპოლიციო დანაყოფში პოლიციის თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია ინსტრუმენტში განხორციელებულ ცვლილებებთან და ელექტრონულ ზედამხედველობასთან დაკავშირებით. ჩატარებულია 40-მდე სამუშაო შეხვედრა, გადამზადებულია 1000-ზე მეტი თანამშრომელი.

აქტივობა 3.1.4. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სსიპ - 112-ში შემოსული შეტყობინებების ანალიზი. 2022-2023 წლებში, მომზადდა 24 ყოველთვიური დოკუმენტი, ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით შემოსული შეტყობინებების ანალიზის შესახებ.

აქტივობა 3.1.5. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პროკურორთა პროფესიული უნარების გაძლიერების მიზნით ტრენინგების ჩატარება.

2023 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ჩატარდა 20 სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობა 204-მა თანამშრომელმა მიიღო (კერძოდ, 177 პროკურორი (მათ შორის 20 მენეჯერი), 5 პროკურატურის გამომძიებელი, 21 მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, 1 მრჩეველი). აღნიშნული სასწავლო აქტივობები მოიცავდა პროკურორებისა და მენეჯერებისთვის განხორციელებულ ტრენინგს გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდი) ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისამართლებრივი დევნის შესახებ; საქართველოს პროკურატურაში ქალთა

მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თემაზე განხორციელებულ რვათვიანი მენტორინგის პროგრამას; სხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად, ერთობლივ ერთკვირიან ტრენინგს ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ; უწყვეტი განათლების კონცეფციის ფარგლებში Help-ის 2 კურსს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ასევე მართლმსაჯულებაზე ქალების ხელმისაწვდომობის შესახებ; დამატებით, სპეციალიზაციის კურსებს: პროკურორებისთვის, გამომძიებლებისა და მოწმის და დაზარებულების კოორდინატორებისთვის სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესახებ და ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე. ასევე, სასწავლო ვიზიტებს აშშ-ში, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის, ადევნების, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობისა და სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის საკითხებზე ფართომასშტაბიან საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის მისაღებად; ბელგიაში FBI აკადემიის კურსდამთავრებულების გადამზადების კურსს სქესობრივი დანაშაულების თემაზე.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხები მოიცვა სამართალდამცავი ქალების მე-10 საერთაშორისო კონფერენციამაც, რომელშიც საქართველოსა და სხვა ქვეყნების 100-მდე სამართალდამცავ ქალთან ერთად მონაწილეობა საქართველოს პროკურატურის ქალმა პროკურორებმაც მიიღეს. ასევე, პროკურორებმა მონაწილეობა მიიღეს ოჯახში ძალადობის თემაზე ჩატარებულ ევროპულ კონფერენციაში.

აქტივობა 3.1.6. მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვის მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა გამოკითხვის/დაკითხვის სპეციალური სახელმძღვანელო წესების გადახედვა, განახლება

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს „ბავშვობის ასაკში ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულთა ეფექტიან გამოძიებაზე“, „დისკრიმინაციული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ“ და „სექსუალური შევიწროების ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ“ რეკომენდაციების განახლება.

აქტივობა 3.1.7 - პროფესიული უნარების განვითარება/გამლიერება საგანმანათლებლო ღონისძიებების გზით ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, მსხვერპლის გამოვლენის, ძალადობაზე რეაგირების და შესაბამისი რეფერალის საკითხებზე

საანგარიშო პერიოდში, ორი ჰაბი კოლეჯების „პრესტიჟი“ და „იბერია“, 16 მასწავლებლისა და მმართველი რგოლის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია გენდერული სამართლიანობისა და სასწავლო პროცესის გენდერულად მგრძობიარე მიდგომებით დაგეგმვისა და წარმართვის შესახებ. პერსონალის გადამზადება განხორციელდა ინტერაქტიული ტრენინგების გზით, რომელიც წარმართა სპეციალურად შემუშავებული ახალი ტრენინგ მოდულის შესაბამისად. აქტივობა აზიის

განვითარების ბანკის მხარდაჭერით შემუშავებული, გენდერის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული, მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების პროცესების მნიშვნელოვანი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ ტრენინგი ჩატარდა გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით.

ამასთან, ჰაბ კოლეჯებში „პრესტიჟი“ და „იბერია“ მიმდინარეობს სექსუალური შევიწროვების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შემუშავება, რაც მიზნად ისახავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო, სექსუალური ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისაგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. პროცესი ორ ეტაპიანია. პირველი ეტაპი მოიაზრებს მექანიზმის გამართვას ორგანიზაციული სტრუქტურისა და სტრატეგიული ხედვების გათვალისწინებით, ხოლო მეორე ეტაპი - სექსუალური შევიწროვების შესახებ პერსონალისა და სტუდენტების ცნობიერების ამაღლებასა და მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ ინფორმირებას. აქტივობა განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით. კოლეჯ იბერიაში სექსუალური შევიწროვების მექანიზმი დამტკიცებულია, ხოლო პრესტიჟში მიმდინარეობს დოკუმენტის დახვეწა. ამასთანავე, 2023 წელს, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის პროექტის - „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ მხარდაჭერით თბილისის, ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონების 208 (10 ტრენინგი) მანდატურმა, სპეციალურად საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისთვის შექმნილი ტრენინგ-პროგრამით, განათლებაში გენდერული მეინსტრიმინგის თემაზე გადამზადება გაიარა. ტრენინგებზე ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის, გენდერული თანასწორობის და ოჯახში ძალადობის საკითხები განიხილეს. გარდა ამისა, 2023 წელს, გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მენეჯერული რგოლისთვის და თბილისისა და რეგიონების ცენტრების უფროსებისა და კოორდინატორებისთვის გაიმართა ორი ტრენინგი. ტრენინგზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორცაა: გენდერული როლები, ნორმები და სტერეოტიპები; ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები; ბავშვზე ოჯახში ძალადობის ფორმები, რისკ-ფაქტორები და შედეგები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლი და შემსწრე ბავშვების ფსიქოლოგიური თავისებურებები და რეაქციები; ბაზისური წარმოდგენები

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ; სექსუალური ძალადობის გავლენა ბავშვზე და მისი გამოვლენის სიმძნელები; მსხვერპლის იდენტიფიცირება - საფრთხის სიგნალები; ეფექტიანი კომუნიკაციის ძირითადი პრინციპები; ამასთანავე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მანდატურებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პროკურატურის მიერ ორგანიზებულ, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლევლობების წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის - „არა ფემიციდს“ ფარგლებში გამართულ შეხვედრებში.

2022 წელს, სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 120 თანამშრომელი (უმეტესად სოციალური მუშაკები) გადამზადდა „გენდერული ძალადობის იდენტიფიცირებისა და მის

წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები“-ს საკითხებზე გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და სააგენტოს ერთობლივი საგრანტო პროექტის „გენდერული ძალადობის წინააღმდეგ სისტემის გაუმჯობესება“ ფარგლებში.

2023 წლის 19-21 ივნისს, ამავე პროექტის ფარგლებში გაიმართა ტრენინგი „კოგნიტურ ბიჰევიორული თერაპიის პრაქტიკული უნარ-ჩვევები“:

მონაწილეობდა 12 ფსიქოლოგი თავშესაფრებიდან, კრიზისული ცენტრებიდან და სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა ინტეგრირებული მომსახურების ცენტრიდან; ხოლო 15 ფსიქოლოგი - სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებიდან;

აქტივობა 3.1.8 - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების გაუმჯობესების მიზნით.

ტრენინგმოდულით „გენდერული მენსტრიმინგი განათლებაში: ძალადობა გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობა“, რომელიც განსაზღვრულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველა საგნის მასწავლებლისთვის 2022-2023 წელს გადამზადდა 1231 მასწავლებელი.

ტრენინგმოდული მოიცავს გენდერის საკითხებს: ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობას, ოჯახში ძალადობას, დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, ხელფასის ჭრილში და სხვ. გოგონათა დისკრიმინაციის შესახებ თანამედროვე მეცნიერთა კვლევებს, სტერეოტიპების, სტიგმებისა და წინასწარ შექმნილი შეხედულებების ზეგავლენის „ქეისებს“ სათანადო განხილვებით, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრაქტიკის განხილვას, სალონური „ბულინგის“ მახასიათებლების გაცნობას, მემკვიდრეობაზე დისკრიმინაციას, არასრულწლოვანთა გაუპატიურების შემთხვევების განხილვას, 18 წლამდე ბავშვთა ქორწინებას, ადამიანთ ვაჭრობას (ტრეფიკინგი), ფემიციდს, ქალთა მიმართ საერთაშორისო ინსტრუმენტების გაცნობას, საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტრუმენტების გაცნობას.

ამოცანა 4.1 - ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

პროგრესი შეინიშნება ამოცანის განხორციელებასთან მიმართებით, რაც უკავშირდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის (მემორანდუმის) ფარგლებში ღონისძიებების ჩატარებას არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით.

ამოცანა 4.1.	<i>ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის/აღმოფხვრის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის გაღრმავება</i>				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.1.1.			საბაზისო	სამიზნე	დადასტურების წყარო
		წელი	2021	2024	
	<i>ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის არსებობა</i>	მაჩვენებელი	არ არსებობს	მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმი	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის ოქმები; წინამდებარე გეგმის წლიური ანგარიშები
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე:

აქტივობა 4.1.1. ზოგადი განათლების სისტემაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირების, რეაგირების მიზნით თანამშრომლობის პლატფორმის შექმნა ან/და გაუმჯობესება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2022 წელს შეიქმნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემის გენდერული მენისტრიმინგის პლატფორმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების წარმომადგენლები, მათ შორის, მანდატურის სამსახურის და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები. საანგარიშო პერიოდში ჩატარა პლატფორმის ორი სამუშაო შეხვედრა.

აქტივობა 4.1.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის (მემორანდუმის) ფარგლებში ღონისძიებების ჩატარება არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით.

აქტივობის განხორციელების მიზნით, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან. 2022 წლის დეკემბერში, ონლაინ შეხვედრა გაიმართა ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან, რომელთაც მთავრობის ადმინისტრაციის მხრიდან წარედგინათ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა ეროვნული სამოქმედო გეგმა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა. შეხვედრას ესწრებოდნენ მერები, გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირები.

2023 წლის 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე იმყოფებოდა მარნეულში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის და გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და დაცვის მექანიზმების განხილვის მიზნით.

შემდგომი ნაბიჯები:

2024 წლის განმავლობაში, აქტიურად გრძელდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის (მემორანდუმის) ფარგლებში ღონისძიებების ჩატარება.

ამოცანა 4.2 - ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა.

ამოცანის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო) და სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური.

პროგრესი - ამოცანის შესრულების დონე

პროგრესი ფიქსირდება ამოცანა 4.2-ის შესრულების ფარგლებში. სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ამოცანის შესრულების პროგრესი დაკავშირებულია პასუხისმგებელი უწყებების მიერ, მანდატის ფარგლებში, სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოებასა და ხელმისაწვდომობასთან.

ამოცანა 4.2.	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა				
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 4.2.1.	შემუშავებულია სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტი	წელი	საბაზისო 2021	სამიზნე 2024	დადასტურების წყარო
	მაჩვენებელი	არ არსებობს ერთიანი სტანდარტი	შემუშავებულია ერთიანი სტანდარტი	წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების 2024 წლის ანგარიში	
რისკი:	საჭირო დაფინანსების ნაკლებობა, ადამიანური რესურსის ნაკლებობა				

პროგრესი - აქტივობის შესრულების დონე

ამოცანა 4.2-ის ფარგლებში არსებული 7 აქტივობიდან, სრულად განხორციელდა 5 აქტივობა, 1 აქტივობა არის მიმდინარე და მეტწილად განხორციელდა, ხოლო 1 აქტივობა განხორციელება ნაწილობრივ.

აქტივობა 4.2.1 ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-შეგროვების გაუმჯობესების მიზნით, კონცეფციის შემუშავება

გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ კონცეფციის შემუშავებისთვის 2023 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

აქტივობა 4.2.2. სამართალდამცავი ორგანოების მიერ სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მონაცემები ქვეყნდება კვარტალურად და წლიურად. შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებით მონაცემები მუშავდება და განახლებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შინაგან საქმეთა სამინისტროს [ვებგვერდზე](#).

სტატისტიკური მონაცემები მუშავდება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

1. მსხვერპლის და მოძალადის სქესი;
2. მსხვერპლის და მოძალადის ასაკი;
3. ძალადობის ფორმა;
4. გეოგრაფიული მდებარეობა.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებს სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, ოჯახურ დანაშაულზე, ხოლო გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი სტატისტიკურ მონაცემებს აღრიცხავს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და ფემიციდის საქმეებზე. სტატისტიკური მონაცემები აღირიცხება გრევიოს სტანდარტის „THE BIG FIVE“ მიხედვით - ბრალდებულის და მსხვერპლის სქესი, ასაკი, ბრალდებულის სოციალური კავშირი მსხვერპლთან, ძალადობის ფორმა, ტერიტორიული განფენილობა.

აქტივობა 4.2.3. ხანდაზმულ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, სს კოდექსის 11' და 126' მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების შესახებ მონაცემების შეგროვება, დამუშავება მათ შორის, სქესის მიხედვით, 65-80 და 80 და ზევით ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობის შემთხვევების სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოს მიერ საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულად ცნობილი პირების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციას ამუშავებს ასაკობრივ ჭრილში და სქესის მიხედვით, მათ შორის 65-80 და 80 და ზევით ასაკის დაზარალებულების შესახებ. ხანდაზმულ დაზარალებულთა მონაცემები დამუშავებადია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერ მუხლზე.

აქტივობა 4.2.4. ხანდაზმულ პირთა დასაცავად გამოცემული შემაკავებელი ორდერების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

შსს-ს საინფორმაციო -ანალიტიკური დეპარტამენტი აწარმოებს სტატისტიკას სქესის და ასაკის გრადაციის მიხედვით. შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებით პირთა სტატისტიკური მონაცემები მუშავდება შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

1. 13;
2. 14-17;
3. 18-24;
4. 25-44;
5. 45-60;
6. 61 .

შემაკავებელ ორდერებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია შსს საჯარო ინფორმაციის [საინფორმაციო პორტალზე](#).

აქტივობა 4.2.5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

სამართლის საქმეთა ანალიზს, რომელიც შეიცავს შშმ პირების მიმართ განხორციელებული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის სტატისტიკურ მონაცემს.

2023 წელს პროკურატურის ვებ გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი შშმ პირების საქმეთა ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე:

- შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ანალიზი 2022 წელი;
- შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის ანალიზი 2023 წლის 9 თვე;
- შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი.

სამოქმედო გეგმის 4.2.5 აქტივობის შესრულების მიზნით, საანგარიშო პერიოდში საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა და ყოველწლიურად აქვეყნებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზებს, რომლებიც შეიცავს შშმ პირების მიმართ განხორციელებული ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის სტატისტიკურ მონაცემებს.

2022 წელს პროკურატურის ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდა შშმ პირთა მიმართ ჩადენილი საქმეების ანალიზის შედეგები², [ქართულ](#) და [ინგლისურ](#) ენებზე;

2023 წელს პროკურატურის ვებ გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი³ შშმ პირების საქმეთა ანალიზის შედეგები⁴, [ქართულ](#) და [ინგლისურ](#) ენებზე;

აქტივობა 4.2.6. თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში მომსახურებით მოსარგებლე პირთა შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოება.

² <https://pog.gov.ge/uploads/0de57c62-shshm-pirTa-analizi-05-12-2022.pdf> <https://pog.gov.ge/uploads/aeefaabf-PWD-study-eng-PDF.pdf>

³ <https://pog.gov.ge/uploads/6d17b487-PWD-children-Geo-2022.pdf>; <https://pog.gov.ge/uploads/01898d63-PWD-children-eng-2022>

⁴ <file:///tmp/tomcat8-tomcat8-tmp/08a9a498-e30d-42cb-adfa-a57a29696318.htm> <https://pog.gov.ge/uploads/d72e7c0c-shshm-pirTa-mimarT-chadenili-danashaulis-analizi-2022-GEO.pdf>

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ, 2022 წლიდან სტატისტიკა მუშავდება მსხვერპლებისა და მოძალადეების სქესის, ასაკის, ძალადობის ფორმისა და მსხვერპლისა და მოძალადის ურთიერთობის კრიტერიუმის მიხედვით.

აქტივობა 4.2.7. იურიდიული დახმარებით მოსარგებლე ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა შესახებ სტატისტიკის წარმოება.

2021 წლის აგვისტოდან, დღემდე პარტნიორი უწყებების მხარდაჭერით მიმდინარეობს იურიდიული საქმის წარმოების მართვის საინფორმაციო პროგრამის რეფორმა. სისტემა იძლევა შესაძლებლობას, სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავდეს ორი დამოუკიდებელი საშუალებით:

1. დეტალიზებული ძებნის პარამეტრები;
2. გრაფიკული სტატისტიკა - რეპორტები.

თითოეულ საშუალებას გააჩნია ძებნის მეთოდები, რომელიც იმართება სისტემის მომხმარებლის (ადმინისტრატორი) მიერ.

დეტალიზებული ძებნის პარამეტრები - სისტემას დაემატა დეტალიზებული ძებნის პარამეტრები, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავდეს სხვადასხვა პარამეტრებით, როგორც ცალ-ცალკე, ასევე კომბინაციურად;

ძებნის პარამეტრების გამოყენება შესაძლებელია როგორც განაცხადებისა და საქმეების, ასევე, კონსულტაციების მოდულითაც. ამ ეტაპზე სტატისტიკის დამუშავებისათვის მონაცემთა "დიდი ხუთეული" არსებობს სამი პარამეტრი:

1. მსხვერპლისა და მოძალადის სქესი,
2. მსხვერპლისა და მოძალადის ასაკი,
3. გეოგრაფიული არეალი.

2023 წელს, დეველოპერთან მიმდინარე ტექნიკური დავალების ფარგლებში, სისტემა, სამომავლოდ უზრუნველყოფს მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობისა და ძალადობის ფორმების შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული მონაცემები დამუშავებადია ინდივიდუალურად - „ქეისებსა“ და კონსულტაციებში შეტანილ მონაცემებზე დაყრდნობით, ხოლო ტექნიკური დავალების შესრულების შემდეგ სისტემა სტატისტიკური ანალიზის (რეპორტი) მეშვეობით უზრუნველყოფს მონაცემების ავტომატურ დამუშავებას.

შემდგომი ნაბიჯები:

იმისათვის, რომ სრულად განხორციელდეს ამოცანა 4.2, 2023 წელს დასრულდება აქტივობა 4.2.1-ის განხორციელება, კერძოდ, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-შეგროვების გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდება კონცეფცია.

გამოწვევები და რეკომენდაციები

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის 2023 წლის⁵ განხორციელების წლიური ანგარიშის ანალიზის შედეგად, კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ გაუმჯობესდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს მუშაობა საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრების მიმართულებით.

გასათვალისწინებელია, რომ სამოქმედო გეგმა მოიცავს პერიოდს 2022-2024 წლებისთვის. გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მნიშვნელოვანი წილი განხორციელდა ან/და მეტწილად განხორციელდა ან არის მიმდინარე. გეგმით გათვალისწინებული ამოცანების და აქტივობების განხორციელებაზე გამოწვევები და სირთულეები არ დაფიქსირებულა. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ უწყებებს აქტივობების შესასრულებლად ვადა განსაზღვრული აქვთ 2024 წლის IV -კვარტალის ჩათვლით.

⁵ შენიშვნა: მოიცავს 2022 წლის 26 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

2024 წლის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს უკვე დაწყებული აქტივობების განხორციელება, მათ შორის მნიშვნელოვანია დაიწყოს ძალადობრივი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციის პროგრამ(ებ)ის მოდიფიცირება, რათა საქართველომ კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვის მიმართულებით, რაც განპირობებულია მულტისექტორული მიდგომითა და მიზანმიმართული, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის განხორციელებით. ასევე, მნიშვნელოვანია, 2024 წელს ინტენსიური მუშაობა წარიმართოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავება-შეგროვების გაუმჯობესებისათვის კონცეფციის შემუშავების მიზნით.